ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5780510

ნომერი: AR1873732

თარიღი : 21.01.2022

გაცემის თარიღი : 28.01.2022

გაცნობის თარიღი : 31.01.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N125ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი ჭულუხაძე პ/ნ 01019070369
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 33/1 ბ. 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022

წლის 21 იანვარს №AR1873732 განცხადებით მომართა მარიამ ჭულუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №125ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.025.244), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №433 განკარგულების საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №2) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 03 სექტემბრიდან 2023 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით. სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ოპტიმა“ (ს/ნ: 405160819).
წარმოდგენილი განცხადებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - შპს „ოპტიმა“-ს (ს/ნ: 405160819) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს "მ2 ნუცუბიძეზე 2"-ის (ს/ნ: 405374982) დაფიქსირება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882022030307, მომზადების თარიღი: 20/01/2022 წ.) თანახმად, №01.14.02.025.244 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით, შპს „ოპტიმა“-ს (ს/ნ: 405160819) ნაცვლად წარმოადგენს - შპს "მ2 ნუცუბიძეზე 2" (ს/ნ: 405374982).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21100694, მომზადების თარიღი: 07/10/2021 წ.) შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“-ის (ს/ნ: 405374982) დირექტორს წარმოადგენს ნიკოლოზ მემმარიაშვილი (პ/ნ: 01008013014). სამსახურში წარმოდგენილია ნიკოლოზ მემმარიაშვილი მიერ განმცხადებლის - მარიამ ჭულუხაძის სახელზე გაცემული 2022 წლის 01 იანვრის №8/N222 მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.14.02.025.244 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შპს „ოპტიმა“-ს (ს/ნ: 405160819) ნაცვლად წარმოადგენს შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“ (ს/ნ: 405374982), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“-ის (ს/ნ: 405374982) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ოპტიმა“-ს (ს/ნ: 405160819) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“ (ს/ნ: 405374982).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 სექტემბრის №5581771 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.